ხშირად დასმული კითხვები

საკითხები:

ახალგაზრდა მეცნიერი
მენტორი და კონსულტანტი
დამხმარე პერსონალი
მასპინძელი დაწესებულება
საკონკურსო დოკუმენტაცია
გეგმა-გრაფიკი
ბიუჯეტი

ახალგაზრდა მეცნიერი

1. **კითხვა: ვმონაწილეობ დიდი გრანტების კონკურსის ორ პროექტში. მაქვს თუ არა უფლება მონაწილეობა მივიღო ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების კონკურსში?**
   პასუხი: დიახ, გაქვთ.

2. **კითხვა: დისერტაცია დაცული მაქვს, მაგრამ დიპლომი ჯერ არ ამიღია. როგორ მოვიქცე?**
   პასუხი: წარმოადგინეთ დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს რომ მოგენიჭათ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

3. **კითხვა: სადოქტორო დისერტაცია ოფიციალურად უკვე ჩავაბარე, თუმცა დისერტაციის დაცვა ჯერ არ მქონია. შემიძლია კონკურსში მონაწილეობა?**
   პასუხი: არა, კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ იმ პირებს, ვისაც დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი მიენიჭათ 2018 წლის 2 აპრილამდე.

მენტორი და კონსულტანტი

4. **კითხვა: შეიძლება თუ არა, რომ დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი იყოს მენტორი?**
   პასუხი: დიახ, შესაძლებელია.

5. **კითხვა: სავალდებულოა თუ არა, მენტორი იყოს მასპინძელი დაწესებულებიდან?**
   პასუხი: დიახ, სავალდებულოა.

6. **კითხვა: რა იგულისხმება მენტორის კვალიფიკაციაში?**
   პასუხი: მენტორს უნდა ჰქონდეს პროექტის საკითხების შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება.

7. **კითხვა: აუცილებელია, მენტორი წარმოადგენდეს მასპინძელი დაწესებულების აკადემიურ პირს?**
   პასუხი: დიახ, სავალდებულოა. მენტორი აუცილებლად უნდა იყოს მასპინძელი დაწესებულების აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი.

8. **კითხვა: შესაძლებელია თუ არა, რომ მენტორს და ახალგაზრდა მეცნიერს ერთნაირი აკადემიური თანამდებობა ეკავოთ?**
   პასუხი: დიახ, შესაძლებელია.

9. **კითხვა: კონსულტანტი მასპინძელი დაწესებულების წარმომადგენელი უნდა იყოს?**
   პასუხი: არ არის აუცილებელი, რომ კონსულტანტი იყოს მასპინძელი დაწესებულების აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი.

10. **კითხვა: შეიძლება, რომ პროექტში ჩართული არ იყოს კონსულტანტი?**
    პასუხი: დიახ, პროექტში კონსულტანტის ჩართვა სავალდებულო არ არის.

11. **აუცილებელია, რომ მენტორი და კონსულტანტი GMUS-ში დარეგისტრირდნენ?**
    პასუხი: დიახ, აუცილებელია

დამხმარე პერსონალი

12. **კითხვა: ვინ შეიძლება იყოს დამხმარე პერსონალი?**
    პასუხი: დამხმარე პერსონალი შეიძლება იყოს: ლაბორანტი, ბაკალავრიატის სტუდენტი, ბაკალავრი, მაგისტრანტი, მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი და დოქტორანტი.

13. **კითხვა: სავალდებულოა, რომ პროექტში ჩართული იყოს დამხმარე პერსონალი?**
    პასუხი: არ არის სავალდებულო პროექტში დამხმარე პერსონალის გათვალისწინება.

მასპინძელი დაწესებულება

14. **კითხვა: შესაძლებელია თუ არა, პროექტი წარმოვადგინოთ მასპინძელი დაწესებულების გარეშე?**
    პასუხი: არა, პროექტს აუცილებლად უნდა ჰყავდეს მასპინძელი დაწესებულება.

15. **კითხვა: შესაძლებელია თუ არა მასპინძელი დაწესებულება იყოს უნივერსიტეტი (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება), რომლის სამართლებრივი ფორმაა კერძო სამართლის იურიდიული პირი?**
    პასუხი: დიახ, შესაძლებელია.

16. **კითხვა: აუცილებელია თუ არა, რომ პროექტში ჩართული დამხმარე პერსონალი იყოს აუცილებლად მასპინძელი დაწესებულების ბაკალავრი, მაგისტრანტი და დოქტორანტი?**
    პასუხი: დიახ, აუცილებელია.

17. **კითხვა: საჭიროა თუ არა მასპინძელი დაწესებულებიდან თანხმობის წერილი მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე წვდომის შესახებ?**
    პასუხი: არა, საჭირო არაა.

საკონკურსო დოკუმენტაცია

18. **კითხვა: ხომ არ არის შეზღუდული საპროექტო წინადადების სიტყვების ან გვერდების რაოდენობა?**
    პასუხი: რეკომენდებულია, საპროექტო წინადადება არ აღემატებოდეს 5000 სიტყვას.

19. **კითხვა: სავალდებულოა თუ არა ინგლისური დოკუმენტაციის წარმოდგენა?**
    პასუხი: დიახ, ინგლისური დოკუმენტაციის წარმოდგენა სავალდებულოა.

20. **კითხვა: უცხოელი კონსულტანტის თანხმობის წერილი ნოტარიალურად უნდა იყოს დამოწმებული?**
    პასუხი: უცხოელი კონსულტანტის თანხმობის წერილის ქართული თარგმანი დამოწმებული უნდა იყოს თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

გეგმა-გრაფიკი

21. **კითხვა: როგორ უნდა გაიწეროს კონფერენცია, თუ წინასწარ არ არის ცნობილი რომელ კონფერენციაზე მოგვიწევს წასვლა?**

პასუხი: რეკომენდებულია, წინასწარ მოძებნოთ მომავალი 2 წლის განმავლობაში დაგეგმილი თქვენი თემატიკის შესაბამისი კონფერენციები, შეარჩიოთ კონფერენციაზე წასვლის პერიოდი და ა.შ.

22. **კითხვა: აუცილებელია, რომ ზუსტად მივუთითოთ ის კონფერენცია, რომელზე დასწრებასაც ვაპირებთ?**
პასუხი: წინასწარ არ არის საჭირო მიეთითოს კონკრეტული ღონისძიება რომელზეც გსურთ დასწრება. შეგიძლიათ ზოგადად ჩაწეროთ, რომ აპირებთ კონფერენციზე დასწრებას.

ბიუჯეტი

23. **პროექტის ბიუჯეტი ითვალისწინებს თუ არა ლაბორატორიული მომსახურების ხარჯები ბიუჯეტის რომელ მუხლში უნდა აისახოს?**
პასუხი: ლაბორატორიული მომსახურების ხარჯის გაწევა შესაძლებელია „ლაბორატორიული სამუშაოებისათვის საჭირო საშუალებების შეძენისა და მომსახურების ხარჯების“ მუხლიდან თანხის გათვალისწინების შემთხვევაში.

24. **კითხვა: ბიუჯეტის რომელ მუხლში შეიძლება გაიწეროს საარქივო მომსახურების ხარჯები?**
პასუხი: „ლაბორატორიული სამუშაოებისათვის საჭირო საშუალებების შეძენისა და მომსახურების ხარჯების“ მუხლში.

25. **კითხვა: პროექტის ბიუჯეტი ითვალისწინებს თუ არა კარტრიჯის შეძენის ხარჯს?**
პასუხი: კარტრიჯის შეძენის ხარჯი შეგიძლიათ გაითვალისწინოთ ზედნადები ხარჯების მუხლში.

26. **კითხვა: საკანცელარიო ხარჯები თუ ფინანსდება?**
პასუხი: ეს ხარჯები შეგიძლიათ გაითვალისწინოთ ზედნადები ხარჯების მუხლში.

27. **კითხვა: პროექტი აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს თუ არა ზედნადებ ხარჯებს?**
პასუხი: შეგიძლიათ პროექტში არ გაითვალისწინოთ ზედნადები ხარჯები.

28. **კითხვა: შეგვიძლია თუ არა გავწიოთ კონსულტანტის მოწვევის ხარჯები?**
პასუხი: არა, ამ ხარჯს ბიუჯეტი არ ითვალისწინებს.

29. **კითხვა: თუ ნაშთი დამრჩა საანგარიშო პერიოდის ბოლოს დაიკარგება თუ არა?**

პასუხი: ნაშთი გადავა მომდევნო საანგარიშო პერიოდში. პროექტის დასრულების შემდგომ დარჩენილი ნაშთი კი ბრუნდება ხაზინაში.

30. **კითხვა: შეიძლება თუ არა, პროექტის ფარგლებში გავიარო სასწავლო კურსები ან სტაჟირება, კვალიფიკაციის ამაღლება?**

პასუხი: შესაძლებელია, იმ შემთხვევაში თუ კურსის/სტაჟირების თემატიკა პირდაპირ კავშირშია პროექტის კვლევითი ამოცანების შესრულებასთან. ამ ტიპის აქტივობისათვის გრანტიდან შეგიძლიათ აანაზღაუროთ: დღიური ხარჯები, მგზავრობა, საცხოვრებელი ფართის დაქირავების ხარჯები, ხოლო სწავლის/კურსის ღირებულება არ ანაზღაურდება.